# ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,



განთიადი
86 წელი თქვენთან ერთად!

2018 წელი 30 ივლისი № 7 № 8136



ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com




გვ4.

## ლაურეატი ანსამბლი „თხოთი,,



გვ9.

## “სტუმრად წელიწადის დროებთან”

გვ6.



## ხელოვნის საღამო

გვ5

## შეხვედრა გარემოს დაცვით საკითხებზე

გვ3.

გვ8.

## სპორტული ცხოვრების დღიური



## კასპის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდება

გვ2.

## ქალთა ინტეგრირებული ტურნირი – „შეცვალე სამყარო!,,

გვ2.



## საერთო პროფესიის მქონე ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება

გვ4.

## „პროფესიები,, და „მხიარული სტარტები,,

გვ6.

## დამშვიდობება ბაღოთან

გვ5.



## აღმზრდელები ზრუნავენ თვითგანათლებაზე

გვ6.

## მიმდინარეობს საკანალიზაციო სისტემის მოწყობა

გვ3.

## საზაფხულო ლაშქრობა

გვ5.



## სასოფლო -სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინფორმაცია

გვ3.

გვ3.

## შიდა ქართლში, კერძოდ – კასპში რძის გადამამუშავებელი საწარმო აშენდება

გვ2.

## გამარჯვება თელავში



## სტუმრად ქარხანაში

გვ3.

## დათქმულ დროს ქვემო ჭალის კულტურის სახლში

გვ4.



## სპორტის სახეობა, რომელსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს მსოფლიოში

გვ7.



## კასპის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდება



შეიძლება ითქვას, რომ ათეული წლებია არ განხორციელებულა სამუშაოები ამ ლოკაციებზე. სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია სანიაღვრე ქსელის აღდგენა, სადრენაჟე სისტემის და ბორდიურების მოწყობა. ასევე მთლიანად შეიცვლება გარე განათების ქსელი, დამონტაჟდება ლინზური განათება. ამ მასშტაბის სამუშაოები მუნიციპალიტეტში არასდროს ჩატარებულა - განაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა.

პროექტების დასახელება:

1. სოფელ სამთავისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის რეაბილიტაცია — 1კმ 100მ.

2. ქალაქ კასპში, ეფრემ მეორის ქუჩის მოასფალტება-მოწყობა — 200 მ.

3. ქალაქ კასპში, თაყაიშვილი-ჭონქაძის ქუჩების წრიული მოასფალტება — 800მ.

4. სოფლების: საკორინთლო-ახალშენას მისასვლელი გზის მოასფალტება-მოწყობა —2კმ 700მ.

5. ქალაქ კასპში, ჩოლოყაშვილის ქუჩის მოასფალტება -მოწყობა — 750 მ.

6. ქალაქ კასპში, გრიშაშვილის ქუჩის (ე.წ. მუხის გზა ) ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა — 500 მ.

7. სოფელ ქვემო ხანდაკში მისასვლელი გზის მოასფალტება-მოწყობა — 3კმ.

8. სოფელ წინარეხის გზის მოასფალტება-მოწყობა — 4 კმ 500მ.

9. სოფლების: მეტეხი, ქვემო გომის გზის მოასფალტება-მოწყობა — 5კმ 700მ.



## გამარჯვება თელავში



კასპის კულტურის ცენტრთან არსებულ ბავშვთა ვოკალური ჯგუფის წევრებმა ქალაქ თელავში კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის სახელობის მუსიკალურ კონკურსში გაიმარჯვეს. ბავშვებმა სამი პირველი, ერთი მეორე და ერთიც მესამე ადგილი მოიპოვეს. გამარჯვებულებს კასპში - კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის საზოგადოების დიპლომები კომპოზიტორმა, ჟიურის თავმჯდომარემ კახა ცაბაძემ გადასცა. კონკურსის აქტიური მხარდაჭერისათვის დიპლომი გადაეცა მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსს თეა ხორბალაძეს.

## გამოსათხოვარი



### ნუგზარ ბუღაძე

გარდაიცვალა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე / 2014-2015 წწ/ ნუგზარ ბუღაძე.

საზოგადოდ ასე იწყება ოფიციალური ნეკროლოგი, მაგრამ ჩვენ გვინდა კასპის საზოგადოებას კიდევ ერთხელ გავახსენოთ ბატონი ნუგზარი თავისი ხასიათის საუკეთესო და საგულისხმო თვისებებით. იგი არ გახლდათ პროტოკოლს ამოფარებული მოსაწყენი პიროვნება, გულისხმიერი და საზოგადოების საფიქრალის გამზიარებელი ჩინებული პიროვნება დიდი ხნის განმავლობაში დარჩება ქალაქისა თუ მუნიციპალიტეტის ისტორიაში.

ნუგზარ ბუღაძე 1951 წელს ქალაქ თბილისში დაიბადა, 1968 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის მეხუთე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1973 წელს ექიმი-სტომატოლოგის კვალიფიკაციით დაამთავრა.

ხშირად და დიდი სითბოთი იხსენებდა, რომ მისი შრომითი ბიოგრაფია კასპში დაიწყო, კერძოდ 1973 წელს კასპის რაიონულ პოლიკლინიკაში საპროთეზო ლაბორატორიის ექიმ-სტომატოლოგად დაინიშნა.

1975 წლიდან იყო თბილისის მეშვიდე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმი, შემდეგ 1984-1991 წლებში ამავე პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.

1991 წელს დაინიშნა თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებლის დირექტორად. პარალელურად 1991-96 წლებში იყო თბილისის საინჟინრო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე.

1996-2001 წლებში იყო თბილისის ნაძალადევის რაიონის ექიმი კოორდინატორი, შემდეგ მთავარი ექიმი. 2001-2004 წლებში ნუგზარ ბუღაძე გლდანი-ნაძალადევის რაიონის სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი იყო.

2011 წელს ნუგზარ ბუღაძე პარტია "ქართული ოცნების" დამფუძნებელთა საინიციატივო ჯგუფის წევრი გახდა. 2012 წლიდან კი "ქართული ოცნების" წევრი.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევამდე ნუგზარ ბუღაძე იყო მპგ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

"კასპი ყოველთვის მშობლიური რაიონი იყო, რადგან ნებისმიერ დასახლებასთან ახლობელი ადამიანების სიყვარული გვაკავშირებს. აქ მე ბევრი მეგობარი მყავდა და ყოველთვის მომწონდა მათთან ურთიერთობა. ქართლური ხასიათის მკვეთრად გამოხატული სიდინჯე და ერთგულება ჩემთვის უმნიშვნელოვანესი გახლავთ" - სახალხოდ ბრძანა შეხვედრაზე თავისი ჩვეული დინჯი საუბრის მანერით.

შესაძლებლობის ფარგლებში ბევრი სასიკეთო საქმე დაიწყო, ბევრს დაეხმარა, უსაგნოდ ახირებული მრავალი ადამიანი დააშვიდა და დაიმეგობრა გულისხმიერებით და სიკეთით სავსე ღიმილით. იზიარებდა საერთო წუხილს და მრავალი თანამოძმის პრობლემის მომგვარებელი გახლდათ. დღეს ჩვენ ვართ მისი ჭირისუფალნი და ღრმა მწუხარებით ვეთხოვებით ბატონ ნუგზარ ბუღაძეს.

**კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო.**

## ქალთა ინტეგრირებული ტურნირი ,,შეცვალე სამყარო!,,

12 - 30 ივნისს ქალაქ თბილისში სრულიად ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ორგანიზებით სპორტის სამ სახეობაში ბოულინგი, ბილიარდი და მაგიდის ჩოგბურთი ქალთა ინტეგრირებული ტურნირი (სლოგანი - შეცვალე სამყარო) მიმდინარეობდა.

ტურნირში მონაწილეობდა კასპის მუნიციპალიტეტის ქალთა გუნდი. კასპელებმა ტურნირში წარმატებით იასპარეზეს: ბილიარდში და მაგიდის ჩოგბურთში პირველი ადგილი, ხოლო ბოულინგში მეორე ადგილი დაიკავეს. ქულათა რაოდენობის მიხედვით კი გუნდი პირველ ადგილზე გავიდა და ტურნირის თასი მოიპოვა. ტურნირის ყველა მონაწილე მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდა.

ტურნირის მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა - ქალთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, შშმ ბავშვთა მშობლებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სტიმულირება იყო. სლოგანით "შეცვალე სამყარო" მიმდინარე ინტეგრირებული ტურნირი ამავდროულად ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ნაწილს წარმოადგენდა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ქალთა გუნდს ულოცავს ღირსეულ გამარჯვებას და სამომავლო წარმატებებს უსურვებს.








## შიდა ქართლში, კერძოდ – კასპში რძის გადამამუშავებელი საწარმო აშენდება

სასოფლო -სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს 8 რეგიონში რძის გადამამუშავებელი 13 კოოპერაციული საწარმო აშენდება. მათ შორის:

სამცხე-ჯავახეთში - 4 (ნინოწმინდა - 3, ასპინძა - 1); გურიაში - 1 (ოზურგეთი); რაჭა-ლეჩხუმში - 3 ( ცაგერი - 2, ონი - 1); იმერეთში - 1 (ჭიათურა); მცხეთა-მთიანეთში - 1 (თიანეთი); აჭარაში - 1 (ხულო); შიდა ქართლში - 1 (კასპი); ქვემო ქართლში - 1 (წალკა).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულ 280-ზე მეტ მეპაიეს შესაძლებლობა ეძლევა სტანდარტების დაცვით აწარმოოს რძის პროდუქტები, რაც ხელს შეუწყობს საწარმოო ციკლის ფარგლებში კოოპერატივების მეპაიეების შემოსავლების ზრდას.

მესაქონლეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გადაეცემა სხვადასხვა სიმძლავრის რძის მიმღებ-გადამამუშავებელი აღჭურვილობა და ნედლი რძის კონტროლის საველე ლაბორატორიული ხელსაწყოები.

პროგრამის მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ-გადამამუშავებელი კოოპერაციული საწარმოების შექმნის სტიმულირება.

## სტუმრად ქარხანაში



მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ ცნობისმოყვარე ბავშვები ივნისის ბოლოს სააქციო საზოგადოება “კასპიელექტროაპარატს” სტუმრობდნენ...

ბავშვებმა ინტერესით დაათვალიერეს ქარხნის სამხატვრო გალერეა, რომელიც საწარმოს ყოფილი დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიკოს უშანგი მოსიაშვილის ინიციატივითა და დაფინანსებით მოეწყო. გალერეაში გამოფენილია მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილისა და კასპელი ქველმოქმედის უშანგი მოსიაშვილის ისტორიულ თემებზე შექმნილი ფერწერული ტილოები.

ბატონი უშანგი სიამოვნებით, ჩვეული გულისხმიერებით შეხვდა სტუმრებს, დაათვალიერებინა გამოფენა, ამომწურავად, ხალისით უპასუხა მათ შეკითხვებს და შემდეგ მეგზურობა გაუწია მექანიკურ და ამწყობ საამქროებში, ბავშვებმა ნახეს, თუ როგორ ამზადებდნენ აქ წლების წინ მუშები ელექტრომრიცხველებსა და სხვა საჭირო ხელსაწყოებს.



- ,,მინდა შევქმნა მუზეუმი, რომელიც მომავალ თაობას ჩვენს საამაყო წარსულს და იმ დიდებულ ადამიანებს გააცნობს ვინც ქვეყნის დამოუკიდებლობის, გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის იღვწოდა” - აღნიშნა უშანგი მოსიაშვილმა.

შეხვედრის დასასრულს სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს და სიამოვნებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

## შეხვედრა გარემოსდაცვით საკითხებზე

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში ნარჩენების მართვის პროცესში ქალთა ჩართულობის გაზრდის მიზნით შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, სოციალურად დაუცველ ქალთა ასოციაცია “ფიქრის გორას” წარმომადგენლები, “კასპის კეთილმოწყობის” თანამშრომლები, რუსთაველის და ჭავჭავაძის ქუჩის ახალგაზრდები.

შეხვედრა, პროგრამა ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში, ფაზა WMTR II გაიმართა, რომელსაც ფინანსურ მხარდაჭერას აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) უჭერს და ახორციელებს CENN.

პროგრამა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს შესაბამის ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს, ნარჩენების მართვის მართებული სისტემის ჩამოყალიბებაში, ასევე ითვალისწინებს ნარჩენების მართვის პროცესში ქალთა ჩართულობის გაზრდას.

შეხვედრის მონაწილეებს კასპის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ინფორმაცია, მერიის თანამშრომელმა თინათინ გეჯაძემ მიაწოდა.

შეხვედრაზე ისაუბრეს მოსახლეობის გააქტიურების და პასუხისმგებლობის ამაღლების, ნარჩენების განთავსებისა და დანაგვიანების შესახებ. თითოეულმა მოქალაქემ უნდა გამოიჩინოს პასუხისმგებლობა, რომ არ დაუშვას საცხოვრებელი ტერიტორიის დანაგვიანება, რომელიც ადვილი შესაძლებელია ზაფხულის პერიოდში ინფექციის წყაროდ გადაიქცეს. ასევე უნდა გავუფრთხილდეთ მეეზოვეების შრომას, ისინი დილაადრიანად იწყებენ ქალაქის დასუფთავებას.



შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კასპში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ფიქრის გორასთან” გოგონათა კლუბი ჩამოყალიბდეს, რომლებიც გარემოსდაცვით აქტივობებს განახორციელებენ.

შეხვედრის დასასრულს აჩვენეს დოკუმენტური ფილმი “გაიგე მეტი ნარჩენების მართვაზე,, რომელშიც კარგადაა ასახული ადამიანის ჯანმრთელობისათვის ყველა სახის ნარჩენის მავნებლობა. შეხვედრას უძღვებოდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის შიდა ქართლის კოორდინატორი ირმა კიტრიაშვილი.

## მიმდინარეობს საკანალიზაციო სისტემის მოწყობა



კასპში, ე.წ. ქეჩარუხის დასახლებაში, ლესელიძის ქუჩაზე ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია და გადამკვეთ ქუჩებზე (სამება, ქვათახევი, მეტეხი) საკანალიზაციო ქსელის მოწყობა მიმდინარეობს.

ქუჩაზე სამი მრავალსართულიანი კორპუსია განთავსებული და შესაბამისად ბევრი მაცხოვრებელია. ათეული წლების წინ გაკეთებული სისტემა უკვე განახლებას საჭიროებდა, აცხადებენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, პროექტის ღირებულება 317 229 ლარია. სამუშაოებს შპს B&B ახორციელებს.



დალი კორკომაშვილი,
კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

# საერთო პროფესიის მქონე ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება

თუ ქვეყანას ადამიანებისათვის ვაშენებთ, თუ გვინდა ჩვენ და ჩვენმა შვილებმა, თავისუფალ, დემოკრატიულ, სამართლიან ქვეყანაში იცხოვრონ, ვიყოთ დაცულები, რომ ვივარგოთ სამშობლოს დამცველებად, გვინდა თუ არა, აუცილებლად წავაწყდებით პროფკავშირის არსებობის რეალობას. საბჭოთა სინამდვილეში მისი ფუნქცია უფუნქციობა იყო, რა მდგომარეობაა ახლა? პროფკავშირი ეს ხელის გადაგრეხვის სინამდვილეა, თუ ცივილურ სივრცეში არსებობის თანამდევი კავშირი? მაინც, რა არის პროფკავშირი?

პროფესიული კავშირი (პროფკავშირი) საერთო პროფესიის მქონე ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლის მიზანიც გაერთიანების წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვაა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ის არსებობს იმისთვის, რომ დასაქმებულების ინტერესები, მათი უფლებები, ხელფასები და სამუშაო პირობები დამსაქმებლებთან მოლაპარაკებებისას დაიცვას. ასეთია პროფკავშირის კლასიკური განმარტება.

როგორც ამბობენ პროფკავშირები სამრეწველო რევოლუციის შედეგია, და პირველი პროფკავშირებიც მე-18 საუკუნეში, რევოლუციის სამშობლოში - დიდ ბრიტანეთში გაჩნდა. განუსაზღვრელმა სამუშაო გრაფიკმა, დასვენების დღეების არარსებობამ, ქალთა და ბავშვთა იძულებითმა შრომამ, მძიმე სამუშაო პირობებმა და დაბალმა ანაზღაურებამ გააერთიანა ქარხნის მუშები და მათ საკუთარი უფლებების დასაცავად იზრუნეს...

დღემდე ბევრს ჰგონია, რომ პროფკავშირი საბჭოთა კავშირის ინსტიტუტია და ის ისევე ჩაბარდა წარსულს როგორც ზემოთხსენებული.

როდესაც პროფესიული კავშირების კლასიკურ განმარტებას ვეძებთ ამ მხრივ მიზანშეწონილი იქნება განვმარტოთ ევროპული მოძრაობების ცნების მიხედვით, სადაც ის ჩაისახა და არა საბჭოთა კავშირის დროინდელი პროფკავშირული საქმიანობის მიხედვით, სადაც მას აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა.

მიუხედავად გარკვეული გამოცდილებისა, დღემდე პროფკავშირის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. პროფკავშირი მზადაა დაიცვას პროფესიული ნიშნით გაერთიანებული ადამიანები, უმრავლესობა კი ისევ ფიქრის მდგომარეობაშია - ენდონ თუ არა მათ უფლებადამცველებს.

თუ ნებისმიერ გაერთიანება-შეკრებაში ბუნტისთავებსა და მედროვეებს არ მოვიაზრებთ, მივხვდებით, რომ დრო თავად უბიძგებს საზოგადოებას სწორი და დროული მოქმედებებისაკენ.

სინამდვილეში, როგორ არსებობს, რა ხდება ორგანიზაციაში? ბოლო წლების მანძილზე, რამდენად ენდობა საზოგადოება პროფკავშირულ ორგანიზაციას, როგორია სამომავლო პერსპექტივა?

27 მაისს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია გაიმართა, ორგანიზაციის თავმჯდომარედ ისევ გიული სოზიაშვილი აირჩიეს.

- ქალბატონო გიული, თქვენ ბოლო 13 წელია ხელმძღვანელობთ ადგილობრივ ორგანიზაციას, როგორ შეაფასებდით განვლილ დროს?

- 2016-18 წლის ვითარება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ცხოვრებაში, ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, გამოირჩეოდა ერთგვარი სტაბილურობით და ქმნიდა შესაძლებლობას ნაყოფიერად გვემუშავა ორგანიზაციის განვითარებისათვის. სპმთპ-ს პრეზიდენტმა, ქალბატონმა მაია კობახიძემ და ლიდერებმა გარკვეული დაუღალავი, პრინციპული მუშაობით შეძლეს დანგრეული, დაშლილი ორგანიზაციის გაცოცხლება და ფეხზე დაყენება.

პირველი ცვლილებები, რაც საერთოდ პროფკავშირების ძალისხმევით მოხდა, ისაა, რომ შრომის კანონთა კოდექსიდან ამოღებულია 37-ე მუხლი, რის საფუძველზეც უამრავი დასაქმებული გათავისუფლდა სამსახურიდან წინა ხელისუფლების მიერ, სამსახურებში აღდგნენ უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო სკოლების დირექტორები, მასწავლებლები თუ სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლები.



მასწავლებლებს ნაცვლად 24 დღისა შვებულება მიეცათ 40 დღე. იმ მასწავლებლებს ვისაც 2000 წლის ჩათვლით აქვთ მიღებული პედაგოგიური განათლება, შრომის ანაზღაურება ნაცვლად ბაკალავრისა მიეცათ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიხედვით, საავადმყოფო ფურცელზე ანაზღაურება ნაცვლად მხოლოდ საგანაკვეთო საათებისა მიეცათ მთლიანად დანამატებთან ერთად. იმისათვის, რომ სკოლებს შეენარჩუნებინათ გამოცდილი კადრი, პროფკავშირის უშუალო ჩარევითა და მოთხოვნით, განაკვეთი 18 საათი დაყვანილია 15 საათზე, რამაც უამრავი მასწავლებელი გადაარჩინა უმუშევრობას. მოგეხსენებათ, ახალი ხელისუფლების პირობებში მასწავლებელთა ხელფასის ზრდა განხორციელდა ორჯერ: 33 და 140 პროცენტით.

საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად დაინერგა ფართომასშტაბიანი კონფერენციები, რომლებშიც კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან მონაწილეობა მიიღო 50 მასწავლებელმა. ჩატარდა პრაქტიკოს მასწავლებელთა 4 დღიანი ტრენინგი, რომელშიც კასპის 6 საჯარო სკოლის 50-მა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა და მიენიჭათ 1,5 ქულა.

2017 წლის 16 მარტს, როგორც განათლების მინისტრმა უწოდა, მოხდა ისტორიული ფაქტი, გაფორმდა მემორანდუმი განათლების მინისტრსა და სპმთპ-ს პრეზიდენტს შორის, და კიდევ, დანიის უმაღლესი საფეხურის მასწავლებელთა პროფკავშირსა და სპმთპ-ს შორის, რის საფუძველზეც ჩატარდა 4-4 - დღიანი ტრენინგი საჯარო სკოლების სერთიფიცირებული მასწავლებლებისათვის, რაშიც კასპის 2-მა მასწავლებელიც მონაწილეობდა.

სპმთპ არის საერთაშორისო ორგანიზაცია "ინტერნაციონალის" წევრი, უდიდეს დახმარებას უწევს ევროკავშირი საქართველოს პროფკავშირებს, კერძოდ სპმთპ-ს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის მიერ 100-პროცენტიანი დაფინანსებით ჩატარდა ოთხდღიანი ტრენინგი ბაკურიანში უშუალოდ კასპის საჯარო სკოლების დირექტორებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, რომელშიც 23 დირექტორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი და მასწავლებელი მონაწილეობდა.

- როგორი დიდი და სასიკეთო სურვილებიც არ უნდა გვქონდეს, დაგვეთანხმებით საკანონმდებლო დონეზე თუ არ შედგა საქმიანობა, რთულია საერთო წარმატების მიღწევა...

- პირველად არსებობის მანძილზე პროფკავშირის, კერძოდ, სპმთპ-ს ჩართულობით მიიღეს კანონი სკოლამდელი დაწესებულებების შესახებ, რომელიც ამ სფეროში არსებულ ყველა საკითხს ეტაპობრივად მოაგვარებს; რაც შეეხება დასაქმებულთა ხელფასებს, პირველად კასპის მუნიციპალიტეტში გაიზარდა, ეს კი, კასპის მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ მერებაშვილის უშუალო ინიციატივა და დამსახურებაა.

სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული გადამზადებისა და კარიერული წინსვლის მიზნით ასპროცენტიანი დაფინანსებით ჩატარდა 7 ტრენინგი: გამგეებისა და მეთოდისტების, აღმზრდელთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და გადაეცათ სერტიფიკატები.

რაიონულმა ორგანიზაციამ საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებს გადასცა ფასიანი საჩუქრები და მეთოდური ლიტერატურა, მარტო ორი წლის მანძილზე მოეწყო 7 ექსკურსია, წევრებმა დაათვალიერეს ისტორიული ადგილები. რაიონის პროფკავშირული ორგანიზაცია საერთო მუშაობაში აქტიურადაა ჩართული და მისი უპირველესი პრიორიტეტი წევრთა მოზიდვა და მათი უფლებების დაცვაა.

- სამომავლო პერსპექტივა როგორ გესახებათ?

- წარმატებასთან ერთად უნდა აღინიშნოს უდიდესი ნაკლი, ორგანიზაცია პატარაა, სულ 380 წევრს ითვლის, რატომღაც, მიუხედავად დიდი, დაუღალავი შრომისა სკოლების პედაგოგების უდიდესი ნაწილი ვერ ჩავრთეთ პროფკავშირში, მაგრამ ცხოვრება, წინსვლა იმედითაა.



## ხსოვნის საღამო



მიმდინარე წლის 13 ივლისს მცხეთის კულტურის ცენტრში გაიმართა ცნობილი ქორეოგრაფის დომენტი მამულაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომლის მხარდამჭერი გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო და მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური, ორგანიზატორი ანსამბლის ქორეოგრაფი მაკა დათაშვილი... ოთხმოციანი წლების ბოლოს დომენტი მამულაშვილმა კოლეგასთან ქალბატონ იზაბელა თაბუკაშვილთან ერთად შექმნა ქორეოგრაფიული ანსამბლი "რკონი", რომელსაც წარმატებული კოლექტივის სახელი აქვს და დაუღალავად იბრძვის ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისათვის. დომენტი მამულაშვილის გარდაცვალების შემდეგ "რკონი" ატარებს დამაარსებლის სახელს, აგრეთვე მას მინიჭებული აქვს ბავშვთა სახალხოსანიმუშო ანსამბლის წოდება, კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა შემოქმედებით და საქველმოქმედო ღონისძიებებში, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში... ხსოვნის საღამოს ესწრებოდა წარმომადგენლობითი დელეგაცია, აქ იმყოფებოდნენ ქართული ქორეოგრაფიის კორიფეები: ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რევაზ ჭანიშ-



ვილი, ქართული ცეკვის ლეგენდები: ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, თამაზ ურთმელიძე, ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის შიდა ქართლის რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი თენგიზ ჯავახიშვილი, არტჰოლის დირექტორი მანანა ამაშუკელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორი მანანა დევიძე და სხვები... კონცერტი დიდხანს გაგრძელდა, სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ცეკვები: "დავლური", "ნარნარი", "აჭარული", "რაჭული", "ყაზბეგური", "ოსური", "ჯუთა", "სამაია". მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩა კასპელი მუსიკოს-შემსრულებლების ხათუნა ხაჩიძის, ზაზა მენაბდიშვილის, სალომე მასიკაშვილის გამოსვლით, საინტერესო სპორტულ-ქორეოგრაფიული ნომრები წარუდგინა მაყურებელს სამეჯლისო ცეკვების სტუდიამ /ანსამბლი "წეროები", ხელმძღვანელი გიორგი მჭედლიშვილი/. საკონცერტო ნომრების გარდა იყო აგრეთვე, სიტყვით გამოსვლებიც, მოგონებებით გამოვიდნენ





და გაიხსენეს დომენტი მამულაშვილთან გატარებული წლები მისმა უახლოესმა მეგობრებმა, კოლეგებმა, ახლობლებმა, რომელთა შორის იყვნენ რობერტ მაღლაკელიძე, კახა მარკოიშვილი, გელოდი ფოცხიშვილი, თეა ხორბალაძე, იზაბელა კობიაშვილი, ნათელა თევდორაშვილი, მაგული მამულაშვილი. ხსოვნის საღამოს უძღვებოდა ამ ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი ლია მენაბდიშვილი. დასასრულს სამადლობელი სიტყვით გამოვიდა "რკონის" პირველი თაობის მოცეკვავე და ანსამბლის ქორეოგრაფი მაკა დათაშვილი, რომელმაც უღრმესი მადლობა



გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, მოცეკვავეებსა და მათ მშობლებს, კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელებს თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.



## საზაფხულო ლაშქრობა

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ ბავშვები სასწავლო წლის ბოლოს, ყოველწლიურად რაიონის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლის მიზნით, აწყობენ ექსკურსიებსა და ლაშქრობებს... სწორედ ამ მიზნით ბავშვებმა შეარჩიეს საინტერესო მარშრუტი: ერთაწმინდა-არტვილა-გარიყულა, აგრეთვე, ხოვლე - / ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი/ მეტეხი- / ღვთისმშობლის ტაძარი/. გასვლითი ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეთა სახლის სპეციალისტები მარინა ნაგელიშვილი და ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი მანანა ყაბანაშვილი. ისტორიული ძეგლების დათვალიერებისას ბავშვებმა გაიხსენეს ისტორიის სახელმძღვანელოში ნასწავლი გაკვეთილები, საინტერესო, ჩვენი ქვეყნის წარსულთან დაკავშირებული დრამატული ფაქტები... მარშრუტი არტვილა-გარიყულა, ბავშვებისთვის ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დარჩება. აქ მათ დაათვალიერეს ძველი შენობის ეზოში განთავსებული საინტერესო ნამუშევრები, ნახატები და ქვაში გამოკვეთილი ქანდაკებები, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან დამზადებული ადამიანის ფიგურა და სხვა საგნები, რომელთა ნახვისას ბავშვები აღტაცებას და ემოციებს ვერ მალავდნენ.

## ბაღთან დამშვიდობება

მასწავლებლებთან გამომშვიდობებით დაიწყო ლამაზი, სანახაობრივად საინტერესო ღონისძიება კასპის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღის გამოსაშვებ ჯგუფში. ამ ლამაზი ლიტერატურული წარმოდგენისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ პატარები: ქრისტი, ვაჟა, დემეტრე, მარიამი, ნუცა, ანამარია, დავითი, ელენე... მოამზადეს ლექსები და სიმღერები, ცეკვები, რომლებიც მიუძღვნეს საყვარელ მასწავლებლებს, გამგეს, ექთანს, მზარეულებს, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა მათ აღზრდა-დაფრთიანებაში.

— გამოსაშვებ ღონისძიებაში მონაწილეობდა 43 ბავშვი, რომელთაგან წელს სკოლაში მიდის 35, — აცხადებს 5-6-წლიანი ჯგუფის აღმზრდელი ნანა მერებაშვილი, — და სხვათა შორის, ჩვენი ბაღიდან წელს საჯარო სკოლებს მიაშურებს 54 აღზრდილი, ბუნებრივია, ველოდებით ახალ შევსებასაც, წინასწარი მონაცემებით ბაღი მიიღებს 30 აღსაზრდელს.

გამოსაშვები ჯგუფის ღონისძიებას ესწრებოდა და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა ბაღის კოლექტივს, ღონისძიების ორგანიზატორებს გაწეული შრომისათვის.



*შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში. „კეხურა„ ელოდება გამოხმაურებას.*

## აღმზრდელები ზრუნავენ თვითგანათლებაზე

# „პროფესიები“ და „მხიარული სტარტები“

ზუსტად 41 წლის წინ, 1977 წლის 16 აპრილს კასპში კიდევ ერთი ახალი, №4 საბავშვო ბაგა-ბაღი /ეგრეთ წოდებულ გეოლოგების კორპუსთან/ გაიხსნა და, რა თქმა უნდა, ეს იყო ტიპიური შენობა, 6 სააღმზრდელო ჯგუფზე, რომლის კედლებში მრავალი თაობა აღიზარდა...

— ჩვენი ბაღის გახსნამდე ვმუშაობდი ახალქალაქში, მინდა გითხრათ, რომ სოფლის ბაღში აღმზრდელად მუშაობამ გარკვეული გამოცდილება შემძინა, — იხსენებს ბაღის გამგე დალი კოტეტიშვილი, — თუმცა, საბავშვო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების თვალსაზრისით, საჭირო თეორიული ცოდნა არც მანამდე მაკლდა, ვინაიდან ამ კუთხით მიღებული მაქვს უმაღლესი / დავამთავრე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი სკოლამდელი აღზრდის სპეციალობით/ განათლება.

და მაინც, ხელმძღვანელისთვის, ამჯერად კი, ბაღის გამგისთვის პროფესიონალიზმის, პედაგოგიური უნარ-ჩვევების გარდა უდაოდ გადამწყვეტი, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება მის ავტორიტეტსა და გავლენას, ნდობის ფაქტორს, ხალხის სიყვარულს, აღიარებას, რასაც დალი კოტეტიშვილის მიმართ ყოველთვის შეამჩნევთ, მარტო ის რად ღირს, რომ სწორედ მისი იმედისა და სიყვარულის გამო ბევრ მშობელს შორი მანძილიდანაც /ცხოვრობენ მიკროს დასახლებაში/ კი არ ეძნელება აქ ბავშვის მიყვანა... რასაკვირველია, მცოდნე, კომპეტენტური გამგის გარდა ბაღი სანიმუშო აღმზრდელებითა და მობილიზებული მომსახურე პერსონალითაც გამოირჩევა. ამას თან ერთვის ახლახან აქ განხორციელებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

... მთლიანად შეიცვალა, განახლდა და გალამაზდა ყველაფერი, დაწყებული შენობის სახურავიდან, ბაღის ეზო-გარემოთი დამთავრებული. ბავშვებისთვის ბევრ ჯგუფში განახლდა საყოფაცხოვრებო ინვენტარიც, ყველაფერმა ამან, რასაკვირველია, შესამჩნევი გახადა, დახვეწა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, ბაღის მესვეურთა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი გახლავთ აღსაზრდელთა კვება, უფრო მეტიც, უდიდესი ყურადღება ექცევა კვების კალორაჟს. ცნობილი გახდა ის ფაქტიც, რომ ამ ორიოდე კვირის წინ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეისწავლა კვების ბლოკი, საგულდაგულოდ შემოწმდა ყველა იმ საკვები პროდუქტის უვნებლობა, რომელიც ბავშვებისთვის გამოიყენება, ყურადღება გამახვილდა დასუფთავებისა და



დეზინფექციის პროცედურებზე, აგრეთვე, შემოწმდა ვენტილაციისა და სადრენაჟე სისტემა, ცხელი და ცივი წყლის გაყვანილობა.

ივნისის მიწურულს 5-6- წლიანი ჯგუფის /აღმზრდელი მაია აბეწვაშვილი, მისი თანაშემწეები: ქეთევან ცუცუნაშვილი და ირმა მერებაშვილი, მეთოდისტი ლუიზა ბაინდურაშვილი/ ბავშვებმა დაუვიწყარი გამოსაშვები ღონისძიება სახელწოდებით “გზა სკოლისაკენ” — ჩაატარეს, მონაწილეობდა 36 ბავშვი, რომელთაგან წელს 18 სასკოლო მერხს მიუჯდება... აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასკოლე ბავშვებმა აჩვენეს სრული მობილიზება, ორგანიზებულობა, მზაობა იმისათვის, რომ ბაღში მიღებული ცოდნა ნამდვილად წაადგებათ. ლამაზ, მოხდენილ სამოსში გამოწყობილმა პატარებმა მოხიბლეს თანატოლები, მშობლები და ახლობლები, მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, გაერთიანების სპეციალისტი ხათუნა ხაჩიძე.

ღონისძიება საათნახევარზე მეტხანს გაგრძელდა, შინაარსიანი ლიტერატურულ-მუსიკალური /მუსიკის მასწავლებელი ნაზი ტურაშვილი/ საკონცერტო პროგრამა ბარბარე ჩარაევმა მხატვრული კითხვით გახსნა, შესრულდა ეროვნული და თანამედროვე ცეკვები, თვალს ვერ მოაცილებდით “კინტოურის” მოცეკვავე / სოლისტები ვაკო მაჭარაშვილი და ლუკა გერმისაშვილი/ ბიჭუნებს, ბავშვები მღეროდნენ სამშობლოს /ლიზი ქამხაძე/ სიყვარულსა და მეგობრობაზე, შემდეგ მათ დარბაზიდან გადაინაცვლეს საზეიმოდ მორთულ ეზოში, სადაც აღსაზრდელებმა მასწავლებლებთან დალი კოტეტიშვილთან და ნაზი სეფაშვილთან ერთად შეასრულეს “თავისუფლების ჰიმნი”... ღონისძიება ლამაზი ფოიერვერკით დასრულდა.

სახალისო, ამავე დროს ძალიან ემოციური იყო სპორტული აქტივობა “მხიარული სტარტები”, რომელიც ჩატარდა საშუალო ჯგუფში / აღმზრდელი ნელი გორგაძე, თანაშემწეები მარიამ აბულაშვილი და ლალი მაზიაშვილი/, აქ სისწრაფესა და მოხერხებულობაში, გონებამახვილობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბიჭები და გოგონები. “მხიარულმა სტარტებმა” თანატოლები კიდევ უფრო დააახლოვა ერთმანეთთან და დადებითად განაწყო. საერთო აღტყინებაში ჩაერთვნენ მშობლებიც, ამის გამო ბავშვები ძალიან გახალისდნენ, აქტივობის მონაწილე ბავშვები დაჯილდოვდნენ სიგელებით, ღონისძიება დასრულდა სპორტული ცეკვით...

სპორტული აქტივობის გარდა, საზაფხულო არდადეგების დაწყებამდე გაცილებით ადრე, 5-6-წლიან ჯგუფში ჩატარებულმა ღონისძიებამ სახელწოდებით “პროფესიები” ნამდვილად დიდი გამოხმაურება გამოიწვია აღსაზრდელთა შორის... მასწავლებლები ესაუბრნენ ბავშვებს სხვადასხვა პროფესიაზე: მასწავლებელი, პოლიციელი, მეხანძრე, ექიმი, ექთანი, ბიბლიოთეკარი — ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ პროფესიებისა, რომლებიც ბავშვებს გააცნეს... ამ მიზნით აღსაზრდელებისათვის მოეწყო ექსკურსია კასპის ბიბლიოთეკაში, პატარებმა დაათვალიერეს საბავშვო განყოფილება და იქ მოწყობილი გამოფენა და ილუსტრაციები, ნახეს აგრეთვე, წიგნსაცავი, დაესწრნენ წიგნის გამოწერის პროცედურას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბავშვებმა მოახერხეს ექსკურსიაზე ნანახი შთაბეჭდილებების გადმოცემა. ბიბლიოთეკის გარდა, აღსაზრდელებმა მოინახულეს პურის საცხობიც... პატარები დაესწრნენ ცომის მოზელის პროცესს, საკუთარი თვალით იხილეს, თუ როგორ ცხვება პური. გარდა ამისა, აქტივობა — სახელწოდებით “პროფესიები” ითვალისწინებდა აგრეთვე, სასკოლე გარემოს გაცნობასაც, სწორედ ამ მიზნით მოეწყო ექსკურსია მესამე საჯარო სკოლაში, ბავშვებმა დაათვალიერეს სკოლა, დაესწრნენ გაკვეთილსაც და სხვათა შორის, იპოვეს მსგავსება და განსხვავება სკოლისა და ბაღის გაკვეთილებს შორის.

ახლა მეოთხე ბაღში, რა თქმა უნდა, საზაფხულო არდადეგებია, მაგრამ აღსაზრდელთა უმეტესობა მაინც ვერ ელევა გალამაზებულ, კეთილმოწყობილ გარემოს, როგორც ამბობენ, მომავალი სასწავლო წლიდან კიდევ უფრო გაიზრდება ბავშვთა კონტინგენტი, დღეისათვის უკვე მიღებულია ოცდაათამდე მსურველის განცხადება.

# “სტუმრად წელიწადის დროებთან”



სანახაობრივი, ემოციურად დატვირთული წარმოდგენა-თამაში გამართეს კასპის მესამე საბავშვო ბაგა-ბაღის 4-5 წლიანი ჯგუფის /პირობითი სახელწოდება “მზე”/ აღსაზრდელებმა. წარმოდგენა თანატოლებს კი არა, მათ მშობლებსა და მოწვეულ სტუმრებსაც კარგად ემახსოვრებათ. საქმე ის არის, რომ ეს იყო შემეცნებითი გასართობი, შემაჯამებელი ღონისძიება ანუ ინტეგრირებული პრეზენტაცია.

ბავშვებმა ძალიან მარტივად და მოხერხებულად გაართვეს თავი დავალებების შესრულებას და ამის გამო შექებაც დაიმსახურეს მასწავლებლებისაგან, რომელთა შორის იყვნენ: ბაღის გამგე თეა ქუტაშვილი, აღმზრდელის თანაშემწე მანანა პაპუაშვილი, ფსიქოლოგი ელენე შარიქაძე, ლოგოპედი მარი მარიდაშვილი, მუსიკის მასწავლებელი ლაურა ხასიევი, მშობლები: ლალი მამულაშვილი, მარინე რაზმაძე და სხვები.

— თემა, “სტუმრად წელიწადის დროებთან” თავისთავად ძალიან საინტერესოა და ამის გამო შევარჩიეთ, თანაც მისი დაძლევა არც ბავშვებს გასძნელებიათ, — განმარტავს ჯგუფის აღმზრდელი ხათუნა მერებაშვილი, — ამ შემთხვევაში ჩვენი მთავარი მიზანი ის იყო, რომ მოგვეხდინა წლის განმავლობაში მიღებული ცოდნის შეჯამება, მაგალითად: შემოქმედებითი თხრობა, ფანტაზიის განვითარება, გარკვეული ამოცანების ამოხსნა, ხელის მცირე მოტორიკის განვითარება, გეომეტრიული ფიგურების ფერისა და ფორმის სიდიდის მიხედვით აღქმა, სივრცითი მიმართულებების წვდომა, ცხოველების, ფრინველების პირობებისა და თავისებურებების ცოდნა, დაკვირვება გარემოზე.

ამგვარად, ყოველი თემის განხილვისას ამომწურავი და გულწრფელი, მეტიც, შთამბეჭდავი პასუხები გასცეს ბავშვებმა: ანა მამულაშვილმა, ნატალი გალუსტაშვილმა, ბარბარე კლერტიაშვილმა, ნიკოლოზ ოდიშვილმა, რომლებმაც სწრაფად და ზუსტად ჩამოაყალიბეს შემოდგომისათვის დამახასიათებელი ნიშნები... მერე ზამთარი გაიხსენეს, საინტერესოდ აღწერეს ეს პერიოდი და თემა მხიარული სიმღერით დაასრულეს პატარებმა: ლაზარე მარქარაშვილმა /წარმოთქვა ლექსი “სად წასულა სიმწვანე”/, თეკლა ბარნოვმა, დემეტრე ბაშარულმა, გუგა მამულაშვილმა, საბა ბასილაშვილმა, დემეტრე დავითაშვილმა, ნიკოლოზ ბუთხუზმა... ქოლგებით შეეგებნენ გაზაფხულთან სტუმრობას ნინიკო ბერიანიძე, მარიამ ბეგიაშვილი, ელენე კლერტიაშვილი, ანამარია ჯონჯუა, ნინი ილურიძე, რომლებმაც შეასრულეს საგაზაფხულო სიმღერები, ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი იყო აგრეთვე, ბარბარე მამულაშვილისა და გაბრიელ დავლაშერიძის მიერ გარჩეული იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა “ოთხი სურვილი”... პრეზენტაციის კულმინაცია გახლდათ მწვანე ყუთის გამოჩენა, სადაც ბავშვებს მოგროვილი ჰქონდათ სხვადასხვა მასალის ნარჩენები, რომლისგანაც ბავშვები აღმზრდელის დახმარებით მონდომებით ამზადებდნენ პაწაწინა თოჯინებს, ნაირ-ნაირ ყვავილებს და ლამაზ აპლიკაციებს... ასეთი საინტერესო ეპიზოდით დასრულდა შემაჯამებელი პრეზენტაცია, რომლითაც ყველა მოიხიბლა, კმაყოფილებას გამოთქვამდნენ როგორც ბავშვები, ასევე მათი მშობლები.

**კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.**



რაიონის საფეხბურთო ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კასპის "განთიადს"... ეს სახელგანთქმული გუნდი, ალბათ კარგად ემახსოვრებათ გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ფეხბურთის მოყვარულებსა და გულშემატკივრებს.

ძალიან მნიშვნელოვანია, დაუვიწყარია იმ პერიოდის "განთიადელთა" წამყვანი მოთამაშეების თავდადებაც, მათ, ვინც ღირსებითა და საქმიანობით, პირადი თვისებებით, რწმენით შექმნეს ერთგვარი, პატარა ისტორია, რომლითაც თავს იწონებენ არა მარტო წინა თაობის სპორტის მოყვარულები, არამედ ახალგაზრდებიც...

ნიშანდობლივი გახლავთ ის ფაქტიც, რომ წინა თაობის სახელოვან სპორტსმენთაგან ზოგიერთი დღესაც წარმატებით ილვწის რაიონის სპორტულ ცხოვრებაში. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ვეტერან ფეხბურთელთა ერთ-ერთი პოპულარული წარმომადგენელი შავლეგ მაჭარაშვილი.

— თითქმის სამი ათეული წელია, ბავშვთა ფეხბურთშია დასაქმებული წარსულში ცნობილი ფეხბურთელი შავლეგ მაჭარაშვილი, მცოდნე, პროფესიონალი მწვრთნელი ერთგულად, თავდადებით ემსახურება მომავალი ფეხბურთელების დაოსტატების საქმეს, — საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ტარიელ ბეგლარაშვილი, — წლების წინ იგი საფეხბურთო გუნდ "განთიადში" თამაშობდა ნახევარმცველის პოზიციაზე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მან შესანიშნავად იცის ბავშვებთან მუშაობა, უფრო მეტის თქმაც შეიძლება, იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოზარდებმა სრულად გამოავლინონ შესაძლებლობები, დახვეწონ ოსტატობა, ნამდვილ სპორტსმენებად



გაიზარდონ და ღირსეულად გაიკვლიონ გზა არა მხოლოდ სპორტში, არამედ საზოგადოდ ცხოვრებაშიც.

საერთოდ, სპორტში, განსაკუთრებით კი, ფეხბურთში მარტივი არ გახლავთ წინასწარი, ზუსტი პროგნოზის გაკეთება მომავალ, დიდ შედეგებზე, მაგრამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია მთლიანად დაიხარჯო, ყოველი საშუალება უნდა ეძებო და იბრძოლო, მერე კი, გარკვეული შედეგი, რა თქმა უნდა, მოვა...

სწორედ ამ კრიტერიუმით ხე-



ლმძღვანელობს გამოცდილი მწვრთნელი შავლეგ მაჭარაშვილი, ზედმიწევნით ფლობს მოზარდთან მუშაობის ტაქტიკას, ამიტომაც არის, რომ მისი შეგირდები წლიდან წლამდე შესამჩნევად "აჩვავებენ" მონაგარს, სახელოვან ფურცლებს წერენ ჩვენი რაიონისა და ქალაქის სპორტულ

საინტერესო სპორტული ცხოვრების თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ თუნდაც კასპელი გურამ გაბიდაურის სპორტული კარიერა...

როგორც კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი აცხადებს ჩვენებურმა გურამ გაბიდაურმა, შავლეგ მაჭარაშვილის ნამოწაფარმა, მართლაც რომ ასახელა რაიონი და ჩვენი ქალაქი, იგი მართალია, საქართველოს სხვადასხვა გუნდში ასპარეზობდა, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეულ პერიოდში იყო ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საბერძნეთის, ისრაელის ფეხბურთელთა გუნდების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეც...

რასაკვირველია, სპორტსმენის წარმატებაში კონკრეტულ შემთხვევაში არ უნდა უგულებელვყოთ მწვრთნელის როლი და დამსახურება...

დღეს გამოცდილი მწვრთნელი შავლეგ მაჭარაშვილი ორ ასაკობრივ ჯგუფთან მუშაობს, თითო ჯგუფში 20-20 ბავშვი ჰყავს გაერთიანებული, სულ ახლახან ერთი ჯგუფი საწვრთნელ შეკრებაზე ჰყავდა წაყვანილი სურამში, ოდნავ მოგვიანებით, ახლა მეორე ჯგუფი გაემგზავრა ჩაქვში. უფრო ადრე კი შეხვედრები გამართეს ერთ-ერთ ძალიან პრესტიჟულ ტურნირში — თბილისის "ელიტ ლიგაზე".

დღეის მდგომარეობით გუნდს "ელიტ-ლიგაზე" ჩატარებული 15 თამაშიდან მოგებული აქვს 11 შეხვედრა, 3 წაგება და ერთი ფრე, შესაბამისად განაღდებული აქვს მეხუთე ადგილი და სპეციალისტთა აზრით ეს არც თუ ისე ურიგო შედეგია.

სპეციალისტები დანანებით იმასაც ამბობენ, რომ სტადიონის უქონლობის გამო შინ ვერ თამაშობენ აქაური ფეხბურთელები, სწორედ ერთი ასეთი დასანანი ფაქტი მოხდა: რუსთავის "მეტალურგის" შესაბამისი ასაკის გუნდი ჩამოვიდა კასპში სათამაშოდ, შევიდნენ სტადიონზე, მაგრამ მოუწესრიგებელი სათამაშო მოედნის გამო ასპარეზობა არ ჩატარდა და სამწუხაროდ, კასპელებს 0:3 წაგება ჩაეთვალათ... თუმცა, იმედს არ კარგავს მწვრთნელი, რადგან პერსპექტიული მოთამაშეები ორივე ასაკობრივ ჯგუფს ჰყავს.

სწორედ ასეთი იმედის მომცემი ფეხბურთელები არიან გიორგი ცეცხლაძე, გიორგი ირემაშვილი, ლუკა შოთნიაშვილი, გივი თამაზაშვილი, ოთარ ბოლოთაშვილი, შალვა ილურიძე, გიორგი კაკაშვილი, გიორგი გრიგოლაშვილი, შალვა თათრიშვილი, მიხეილ ფეიქრიშვილი, გიორგი ფანცხავა, ვაჟა სოყურაშვილი და სხვები, რომლებიც "ელიტ-ლიგაზე", ჭაბუკთა ლიგა "უ-15, "უ-17"- მონაწილეობენ.

სხვათა შორის, ორივე ასაკობრივი ჯგუფის ფეხბურთელებს, ამ ეტაპზე, მწვრთნელი ცემენტის ქარხნის ხელოვნურსაფარიან მიკრო საფეხბურთო მოედანზე ავარჯიშებს. მიუხედავად ყველაფრისა, მწვრთნელი შავლეგ მაჭარაშვილი ცალსახად აცხადებს, რომ სპორტის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელისგან გრძნობს სისტემატურ და აქტიურ მხარდაჭერას, რაც მომავალი წარმატების საწინდარია.

კასპის საზოგადოება ახალი სტადიონის მოწყობის იმედსა და სიხარულს აღარ მალავს; თუმცა, სასურველ სინამდვილემდე გულხელდაკრეფილს ვერ ნახავთ მათ, ვისთვისაც ახალი სტადიონი უფრო მეტია, ვიდრე ქალაქის მორიგი ღირსშესანიშნავი სასპორტო სივრცე. რითი არიან დაკავებული პატარა ფეხბურთელები?




და მაინც, როგორია იმ სპორტის ისტორია, რომელმაც მთელი მსოფლიო მოაჯადოვა.

ეგვიპტელი ფარაონების სამარხებში, რომლებიც მეორე-მესამე ათასწლეულებით თარიღდება, ბურთებია ნაპოვნი. საბერძნეთში მას - ეპისკიროსი, რომში - გარპას ტუპი, ხოლო იაპონიაში - კემარი ერქვა.

ოფიციალური ვერსიით ფეხბურთი ინგლისში მეცხრამეტე საუკუნეში დაიბადა. თუმცა, მაშინ ეს თამაში ქაოტური და მოუწესრიგებელი იყო. თამაშის დადგენილი წესების არ არსებობის გამო ყოველი შეხვედრა ჩხუბითა და აყალ-მაყალით მთავრდებოდა. საზოგადოება იძულებული გახდა საერთო წესებზე შეთანხმებულიყვნენ.

თავდაპირველად, ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ჩამოყალიბდა 1863 წელს; ინგლისის ნაკრები კი მსოფლიოში ყველაზე ძველი ნაკრებია, რომელიც ჩამოყალიბდა შოტლანდიასთან ერთად. ინგლისსა და შოტლანდიას შორის გაცნობითი ხასიათის მატჩი 1870 წლის 5 მარტს გამართულა, რომელიც ფეხბურთის ასოციაციის მიერ იყო ორგანიზებული, ხოლო შემდეგი შეხვედრა, 1872 წლის 30 ნოემბერს, შოტლანდიის ნაკრების წარმომადგენელთა ორგანიზებით გამართულა. ცალცალკე დაკომპლექტებულ ამ ორი ნაკრებისთვის ეს მატჩი, შოტლანდიის ჰემილტონ ქრესსენტის სტადიონზე, იყო პირველი ოფიციალური შეხვედრა.

მომდევნო 40 წლის მანძილზე ინგლისელი ფეხბურთელები ექსკლუზიურად მხოლოდ მშობლიურ გუნდებთან: შოტლანდიასთან, ირლანდიასთან და უელსთან თამაშობდნენ.

პირველი საერთაშორისო ტურნირი 1884 წელს ჩატარდა, რომელსაც დიდი ბრიტანეთის საშინაო ჩემპიონატი ეწოდა.

სპორტის ეს სახეობა 1900 და 1904 წლების ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე შეიტანეს, თუმცა გამარჯვებულებზე მედლები არ გაიცემოდა.

1904 წლის 21 მაისს ფრანგების ინიციატივით, პარიზში გადაწყდა დაეარსებინათ საფეხბურთო ასოციაციის საერთაშორისო ფედერაცია, დღეს უკვე ფიფა, რომლის პირველი პრეზიდენტი, ფრანგი რობერ გერენი გახდა.

მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ქვეყნების მამაკაცთა ეროვნული საფეხბურთო გუნდების საერთაშორისო შეჯიბრი 1930 წლიდან მოყოლებული ოთხწლიანი შუალედით ტარდება, სხვათა შორის 1942 და 1946 წლებში მეორე მსოფლიო ომის გამო თამაშები არ ჩატარებულა.

**კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.**

კასპის სპორტული კომპლექსი



# სპორტული ცხოვრების დღიური

23 ივნისი

მინიკალათბურთი – ქ. ქუთაისი: წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ სპორტკომპლექსის 10-12-წლიანი ბავშვების გუნდმა (მწვრთნელი მიხეილ მაკეივიჩი) შიდა ქართლის რაიონების პირველობაზე, ქ. გორში "ჯუნიორის" პროგრამით, 8 მატჩიდან 50-პროცენტიანი შედეგი აჩვენა და ქ. ქუთაისში ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება დაიმსახურა. ჩვენი ბიჭები იქ პირველივე შეხვედრაში მასპინძელთა ძლიერ გუნდს დაუპირისპირდნენ, თავიდან ტოლი-ტოლზე დაუდგნენ, თუმცა ბოლოს რიონისპირელებთან უშანსოდ დარჩნენ. ამის მიუხედავად, "მაკეივიჩის ბიჭები" შექებას იმსახურებენ, ისინი ხომ საქართველოს მასშტაბით მოასპარეზე 35 გუნდიდან საუკეთესო ათეულში მოხვდნენ. აი, გუნდის შემადგენლობა: ვახტანგ წიკლაური (კაპიტანი), გიორგი თხინვალელი, ნიკა სამხარაძე და ლაშა-გიორგი გულაროვი (ყველა ქალაქის №2 სკოლიდან); საბა მარიამიძე, სანდრო ტატანაშვილი, რომან ხელაია და ნიკა ქოსაშვილი (№1 სკოლა); ნიკოლოზ მერებაშვილი, დაჩი ტყემალაძე, საბა ნადირაშვილი და ალექსანდრე გოგილაშვილი (გიმნაზია); დავით პაპუაშვილი (№4 სკოლა); გიორგი და ნიკოლოზ ამირეზაშვილები (ახალქალაქის სკოლა).

23-24 ივნისი

ძიუდო – ქ. თბილისი: ჭიდაობის ამ სახეობის აკადემიის სპორტდარბაზში გაიმართა ქართული ლუდის "ზედაზენი"-ს თასის ტრადიციული გათამაშება ახალგაზრდებს შორის. მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა წარმოშობით ორმა კასპელმა მოჭიდავემ – ჯაბა პაპინაშვილმა და რობინზონ ბეგლარაშვილმა. ორივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია, ჯაბა სულაც მსოფლიო რეიტინგის ლიდერია. ამდენად, მათგან მხოლოდ უმაღლეს შედეგებს მოელიან ქართული ძიუდოს სპეციალისტები და, ცხადია, გულშემატკივრებიც.

26-27 ივნისი

კიკბოქსინგი – ქ. დმანისი: ქვემო ქართლის ისტორიულ ქალაქში გამართული საერთაშორისო ტურნირი, ფაქტიურად, ამიერკავკასიის ქვეყნების ჭაბუკი სპორტსმენების პირველობა და სამომავლო რეზერვების დათვალიერება იყო. კვლავ თქვეს ომახიანი სიტყვა ჩვენი ქალაქის სპორტკლუბი "იმედის" წარმომადგენლებმა (უფროსი მწვრთნელი ოთარ თოიძე). 13-14 წლიანთა შორის გაიმარჯვა ლუკა ბარნოვმა, ხოლო 9-10-წლიანებში – ნიკა ბერიანიძემ. "ომახიანი" ზემოთ შემთხვევით არ გვითქვამს: 15 წლის რაულ ჯაფაროვმა ჩემპიონობა მოიპოვა ტურნირის კულმინაციურ შეხვედრაში – "სუპერბრძოლაში".

29 ივნისი

ძიუდო – ქ. კასპი: სპორტკომპლექსის საჭიდაო-სავარჯიშო დარბაზში ერთობლივი საწვრთნელ-საჩვენებელი ვარჯიშები ჩაატარეს ქ. თბილისის ძიუდოს კლუბი "მებრძოლი – 2013"-ისა (პრეზიდენტი გოჩა ბერაძე) და რუსეთის ქ. ნოვოროსიისკის კლუბის ჭაბუკმა მოჭიდავეებმა. მასპინძელთა მხრიდან მონაწილეობდა 20-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი, რომლებიც რაიონის სოფლებიდან დადიან აქ სავარჯიშოდ.

30 ივნისი

ტაეკვონდო – ქ. კასპი: ახალ სასპორტო დარბაზში, სადაც საგანგებოდ გაიშალა საჭიდაო ლეიბები, ჩატარდა შიდა ქართლის მხარის ღია ჩემპიონატი. მონაწილეობდა 100-ზე მეტი კასპელი მოზარდი. კლუბი "კასპის" სახელით (პრეზიდენტი ალექსანდრე მანძულაშვილი) წარმატებას მიაღწიეს: მედეა ხალიბეგაშვილმა, ანი მამულაშვილმა და ვასილ ხალიბეგაშვილმა (შესაბამისად, პირველი-მეორე-მესამე ადგილები).

30ივნისი

ძალისმიერი სამჭიდი (წოლჭიმი) – ქ. თელავი: საქართველოს თასის გათამაშებაში კასპის ათლეტკლუბმა "ამირანმა" (მწვრთნელი გიორგი მერებაშვილი) 4 სპორტსმენით იასპარეზა. ჩემპიონობა მოიპოვა კასპის პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ლუკა მერებაშვილმა, რომელმაც 83 კგ-ის მოასპარეზეებში 130-კილოგრამიანი შტანგა დააფიქსირა და პირადი რეკორდი 5-ით გაზარდა. ასევე, გაიმარჯვა მისმა სეხნიამ და თანატოლმა სოფელ ქვემო გომიდან – ლუკა ორბელაშვილმა: ის 60 კილოსაც არ იწონის, მაგრამ 100 კილოგრამი აჭიმა. 90-კილოგრამიანი შტანგა დაომორჩილა (66 კგ-ში) პირველსკოლელმა ნიკა დალაქიშვილმა, რითაც მე-3 ადგილი ირგუნა. მე-4 შედეგი ჰქონდა მრგვალიჭალელ 19 წლის ნიკა გუზიტაშვილს.

30 ივნისი

ჭადრაკი – ქ. თბილისი: საჭადრაკო წრის 12 წლის მოსწავლემ გიორგი კელაპტრიშვილმა (სოფ. ზემო ხანდაკი, მწვრთნელი ზაზა გორგაძე) დედაქალაქის საკვალიფიკაციო ტურნირში იასპარეზა (სხვათა შორის, თავის ასაკზე გაცილებით უფროსთა შორის) და შესაძლებელი 7-დან 5,5 ქულის დაგროვება შეძლო. ეს ნიჭიერი ყმაწვილის უდაო წარმატებაა. გზა დავულოცოთ!

პირველი ივლისი

ჭადრაკი – ქ. კასპი: ქალაქის მე-2 სკოლის საჭადრაკო ოთახში უმასპინძლეს კასპელი ვეტერანი მოჭადრაკის, აწ გარდაცვლილი შოთა ჯაბაურის (1937-2007) ხსოვნისადმი მიძღვნილ რაიონულ ტურნირს.

რვა მოასპარეზე მოყვარულმა მოჭადრაკემ (ურთიერთშორის გამართული ორ-ორი პარტიის შედეგად) ადგილები ასეთი თანმიმდევრობით გაინაწილა: გამარჯვებული – სპორტკომპლექსის ჭადრაკის მწვრთნელი მამუკა ზაქარაშვილი (12,5 ქულა), 2. ზაზა გორგაძე (12), 3. მიხეილ მაკეივიჩი (9), 4. ვალერი უზნაძე (6), 5. ვალიკო ალაპიშვილი (5), 6. თამაზ ჯლანტიაშვილი (5), 7. გელა ქარუმიძე (5), 8. ერეკლე ზაქარაშვილი – ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილე (1,5 ქულა).

2-4 ივლისი

კარატე – ქ. ბათუმი: შავიზღვისპირეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ კლუბი "ხვადის" (მთავარი მწვრთნელი დავით დალაქიშვილი) 10-დან 17 წლამდე ჭაბუკები და ქალიშვილები. გვყავს ტურნირის გამარჯვებული – გივი ფსუტური (შეგახსენებთ, რომ 13 წლის გივიმ აპრილში წარმატებით იასპარეზა ქ. ტრაპზონის (თურქეთი) ტურნირში, სადაც მეორე იყო, ხოლო მაის-



ში გაიმარჯვა ქ. თბილისის ღია ტურნირში. ის ახლა თავისი წონის რეიტინგის ლიდერია) და, ასევე, ორი ფინალისტი: ვახტანგ წიკლაური და რიმა მჭედლიშვილი. აი, ქეთი წიკლაური კი მე-3 ადგილზე დაგვირჩა.

6-8 ივლისი

ჭიდაობა ძიუდო – ქ. ბათუმი: ჩვენმა ყმაწვილმა მოჭიდავეებმა, 9-11 და 12-13 წლისანი რომ არიან და პირველ ნაბიჯებს დგამენ დიდი სპორტისაკენ სავალ რთულ გზაზე, საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯეს თავიანთი მკლავის ძალა. კარგია, რომ პატარებმა ერთი დღე ზღვის ნაპირზე გაატარეს.

გუნდს შეჯიბრზე თან ახლდა სპორტული კომპლექსის დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი.

თავი ისახელეს: ბერდია ნატროშვილის შეგირდებმა – მამუკა მარქარაშვილმა (რომელმაც +60-ში, ანუ მძიმე წონაში გაიმარჯვა) და თორნიკე გორჯოლაძემ (35 კგ-ში დაათმობინეს ფინალური ორთაბრძოლა); ასევე, ნუგზარ და სოსო მამულაშვილების აღსაზრდელებმა – ალეკო ხიზამბარელმა (30) და გურამ სეხნიაშვილმა (35 კგ).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დოესელი ძიუდოისტი გოგონას – ეკა რაზმაძის მიღწევა, რომელიც მე-2 ადგილზე გავიდა (მისი პირადი მწვრთნელია ვეტერანი მოჭიდავე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჯემალ ხორბალაძე).

13 ივლისი

ქართული ჭიდაობა – სოფ. სამთავისი: საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ეგიდით გაიმართა ჩვენი ქვეყნის 1994 წლის აბსოლუტური ფალავნის (წინა წლის ფინალისტისა და 1995 და 1999 წლების მე-3 პრიზიორის) – ვანო გამხიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭაბუკთა შორის (2003-05 წლებში დაბადებულნი).

დასანანია, რომ 5 წონითი კატეგორიიდან ადგილობრივმა მოჭიდავეებმა ვერც ერთში გაიმარჯვეს. ერთგვარად დასამშვიდებლად უნდა მივიჩნიოთ 45 კგ-ის კატეგორიაში ნიკა კალატოზიშვილისა და ლევან მამულაშვილის, ხოლო 60-ში – სოსო ჟივიძისა და ნოდარ გოდერძიშვილის მიერ დაკავებული მეორე-მესამე ადგილები. სამეულში შევიდნენ, ასევე, გურამ სეხნიაშვილი (35) და ნუგზარ გელხაური. საინტერესოა, რომ ერთის გარდა (ნ. გოდერძიშვილის მწვრთნელია ვასილ ქვრივიშვილი) ყველა დანარჩენს ხელდასმულობს მეტეხელი სოსო მამულაშვილი.

21 ივლისი

64-უჯრედიანი შაში – ქ. კასპი: რაიონის პირველობა ჩატარდა საჭადრაკო კლუბში, სადაც დაფებს სათამაშო მაგიდებთან მიუჯდა რვა პრეტენდენტი. მაქსიმალური, 7 შესაძლებელი ქულიდან 5,5-ის დაგროვება შეძლო გამარჯვებულმა ზაზა გორგაძემ. მეორე ადგილზე 5 ქულით გავიდა მამუკა ზაქარაშვილი, ხოლო მესამეზე – 4 ქულით, პირველობის მონაწილე ერთადერთი ქალბატონი – ლია ყაზარაშვილი. საინტერესოა, რომ სამივე შაში-ჭადრაკის მწვრთნელია. ასე რომ, მათ საკუთარი რეპუტაცია დაიცვეს.

**კასპის სპორტული კომპლექსი.**

## გამოგვეხმაურეთ, დაგვიკავშირდით

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი." საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ ,,ფენომენს,, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

## დათქმულ დროს ქვემო ჭალის კულტურის სახლში

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ორგანიზებით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით კულტურის სახლებსა თუ სასოფლო კლუბებში / ოკმის, ქვემო გომის, ზემო ხანდაკის, ახალქალაქის/ ჩატარდა წლის შემაჯამებელი და საჩვენებელი ღონისძიებები, რომლის ინიციატორი და მხარდამჭერი გახლდათ ქალაქის მერია...

დათქმულ დროს შეიკრიბნენ სტუმრები ქვემო ჭალის კულტურის სახლში. შემაჯამებელ ღონისძიებას ესწრებოდნენ მოსწავლეები და ახალგაზრდები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები, კონცერტში მონაწილე ბავშვების მშობლები... როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამოირჩეოდა კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა სახალხო სანიმუშო ქორეოგრაფიული ანსამბლი /ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი/ “სხვილოელნი”, მაყურებელი ოვაციებით ხვდებოდა ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერებისა და ხალხური საგალობლების შემსწავლელი წრეების /ხელმძღვანელები: თამარ საჩალელი და გიორგი ხასიშვილი/ მოსწავლეების გამოსვლას. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ქორეოგრაფიული ცეკვები და საესტრადო სიმღერები, ხალხური საგალობლები და თეატრალური წარმოდგენები, მხატვრული კითხვა...

დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა შემაჯამებელი ღონისძიების ორგანიზატორებს აქტიურობისათვის. საზეიმო ნაწილის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონია: კულტურის გაერთიანებამ ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერის შემსწავლელი წრეების მოსწავლეებს, აგრეთვე კულტურის სახლში არსებულ საბავშვო თეატრის და ანსამბლ “სხვილოს” წევრებს ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის გადასცა საპატიო სიგელები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქორეოგრაფიულ ანსამბლ “სხვილოს” ხელმძღვანელმა ნინო პავლიაშვილმა თითოეული მოცეკვავე მედლით დააჯილდოვა... იყო ემოციური, ხალისიანი განწყობა, საზეიმო შეხვედრით გამოწვეული დადებითი მუხტი, რომელსაც ერთნაირად გამოხატავდნენ როგორც სტუმრები, ასევე მოცეკვავეები, მომღერლები თუ შემსრულებლები.

შემაჯამებელ ღონისძიებას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელთა მუდმივი მხარდაჭერა.





**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.**



## ლაურეატი ანსამბლი „თხოთი“



რეზონანსული, ძალიან საინტერესო იყო ქობულეთში გამართული ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედების 24-ე საერთაშორისო ფესტივალი, რომლის ინიციატორი და ხელისშემწყობი გახლდათ საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედებითი კავშირი /თავმჯდომარე სვეტლანა ჩოჩუა/ და ამ ღონისძიებაში ჩვენი ქვეყნის გარდა მონაწილეობდნენ ექვსი სახელმწიფოს, ბულგარეთის, უნგრეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, მოლდავეთის ქორეოგრაფიული და საგუნდო, ხალხურ საკრავთა ანსამბლები...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ საერთაშორისო ფესტივალზე “ ჩემი ლამაზი ქვეყანა – ქობულეთი 2018” მიწვეული იყო კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანებასთან არსებული ალაიანის სასოფლო კლუბის ანსამბლი “თხოთი”, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს ღირსების ორდენის კავალერი თამაზ დურგლიშვილი.

ანსამბლი “თხოთი” დიდი ხანია ჩვენი რაიონის “სავიზიტო ბარათი” გახდა, ვინაიდან პატარა ალაიანელი მუსიკოს-შემსრულებლების გამოსვლებს ხშირად ნახავთ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გამართულ საზეიმო შეხვედრებსა თუ სამთავრობო ღონისძიებებზე.

– ქობულეთში გამართულ ფესტივალზე მონაწილეობა ჩვენთვის იყო სერიოზული, ძალიან საპასუხისმგებლო გამოწვევა და მართალი გითხრათ ასეთ დიდ აღიარებას ნამდვილად არ ველოდით, – აცხადებს ბატონი თამაზ დურგლიშვილი, – თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანსამბლის წევრებმა ყველაფერი გააკეთეს ჩვენი რაიონის წარმოსაჩენად, გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ მარტო ქართველი მაყურებელი კი არა უცხოელი სტუმრებიც მოიხიბლნენ “თხოთის” რეპერტუარითა და საშემსრულებლო ოსტატობით.

ერთი სიტყვით, ფესტივალის თვითმხილველთა გადმოცემით ალაიანელ მოსწავლეებს სცენიდან არ უშვებდა მაყურებელი, განმეორებით მოითხოვდა “აჭარული პოპურის”, “ქალაქური მელოდიების”, ქართული “საცეკვაოს” ოპერიდან “დაისი” თუ სხვა საკრავიერი და საგუნდო ნაწარმოებების შესრულებას... პატრიოტული სულისკვეთებით, მთელი თავდავიწყებით მღეროდნენ და უკრავდნენ ანსამბლის წევრები ლივია დავლაშერიძე, ანი გრიგოლაშვილი, და-ძმა სოფო და დავით ზუმბაძეები, თათია ტალახაძე, მაგდა ოდოსაშვილი, მარიამ გურეშიძე, გიორგი გელხაური, ანი და ნინი ოდოსაშვილები, ანი ბროძელი, ლიკა გელხაური... ალაიანელი მოსწავლეებისათვის და არა მხოლოდ მათთვის ფესტივალის ყველაზე დრამატული ნაწილი გახლდათ კონკურსანტების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი, დიახ, “თხოთის” წევრებს ფესტივალში მონაწილეობისა და საშემსრულებლო ოსტატობისათვის გადაეცათ ლაურეატის დიპლომები, ხოლო ანსამბლის ხელმძღვანელს თამაზ დურგლიშვილს მიენიჭა ლაურეატის წოდება... – ხალხურ საკრავთა ანსამბლი “თხოთი”, რომლის კონტინგენტი ფაქტიურად სკოლის მოსწავლეებით ივსება, ჩვენი სიამაყეა, მას ხომ მთელი რაიონი იცნობს, – აცხადებს ალაიანის საჯარო სკოლის დირექტორი ლალი გელხაური, – ვცდილობთ დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ და არ ვაგრძნობინოთ, რომ ანსამბლს ჯერ კიდევ არა აქვს საკუთარი “ჭერი”, გვინდა გავუადვილოთ ბავშვებს რეპეტიციებზე სიარული, ყოველნაირად ვცდილობთ სრულ თანხვედრაში იყოს მოსწავლეთა როგორც აკადემიური მოსწრება, ასევე მათი თვითშემოქმედების განვითარება და რეალიზება. მეამაყება, ძალიან გახარებული ვარ, რომ სკოლის მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ ქართული ფოლკლორის მიმართ.

ხალხური საკრავების დაუფლება, მისი პოპულარიზაცია, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, ამ ძირძველ ჟანრში მოპოვებული წარმატება, მართლაც რომ სასახელოა.

# „არტ-გენი“ — 2018

## „მოურავის“ მრავალჟამიერი




უკვე 16 წელიწადია, რაც ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად იმართება ქართული ფოლკლორის და თვითშემოქმედების ფესტივალი სახელწოდებით "არტ-გენი", რომელიც მიზნად ისახავს ქართული ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას, ფოლკლორული ნიმუშების მოძიებასა და შეკრებას, საზოგადოებისათვის გაცნობას... სწორედ ამიტომ არის, რომ ფესტივალის ფარგლებში ეწყობა კონცერტები, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული მუსიკალური შემსრულებლები, ასევე ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები, ეწყობა აგრეთვე, ნაქარგების, ნაქსოვებისა და თექის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა...

ასე იყო წელსაც, ამდენად, ფესტივალ "არტ-გენი" 2018- ის ბოლო აკორდი გახლდათ ქალაქ თბილისში, /8- 15 ივლისის ჩათვლით/ გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ყოველწლიური ქართული ფოლკლორის შემაჯამებელი დასკვნითი კონცერტი, რომელმაც სრული ანშლაგით ჩაიარა...

ფესტივალზე მოწვეული სტუმრები და ხელოვნების მოყვარული საზოგადოება, კონცერტზე მოსული უცხოელი ტურისტები უდიდესი ინტერესით ათვალიერებდნენ ქართული ხალხური რეწვის ნიმუშებს, მაყურებელი არ იღლებოდა ქართული პოლიფონიის დემონსტრირებით, უდიდესი აპლოდისმენტები და მოწონება დაიმსახურა ხალხური სიმღერისა და ქორეოგრაფიის, ზეპირსიტყვიერების ოსტატების, თანამედროვე ქართული ჯგუფების გამოსვლამ, თვალისმომჭრელი, მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული სამზარეულო, აგრეთვე, გამოფენაზე წარმოდგენილი, სახელდახელოდ მოწყობილი ნაირნაირი კრეატიული "უბნები" დამთვალიერებლებს ვერ იტევდა... აი, ასეთ მასშტაბურ ღონისძიებაზე ძალიან წარმატებული გამოსვლა ჰქონდა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის გაერთიანების ფოლკლორული ანსამბლის "მოურავის" /ლოტბარი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი ბახტაძე/ გამოსვლას. ანსამბლმა ფესტივალზე ორი მუსიკალური ნომერი წარადგინა, რომელთაგან რეზონანსული გახლდათ "ქართული მრავალჟამიერი".

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.**

## გილოცავთ!



**გაბრიელ და ნიკოლოზ ქებაძეებს ვულოცავთ ოქროს დაბადების დღეს!**

**ჩვენო საფიცარო ოქროს შვილებო, იყავით ჯანმრთელები, დღეგრძელები, იღბლიანები, წარმატებულები საყვარელ მშობლებთან ერთად!**

**იცხოვრეთ ძლიერ და თავისუფალ საქართველოში.**

**პაპიდა ნუნუ მერებაშვილი ოჯახით.**

გამოიწერეთ „ახალი განთიადი“! გახდით ჩვენი მკითხველი!

## ლოტბარი



სიმღერა ბავშვობიდან უყვარდა, მისი წკრიალა ხმის მოსმენით არ იღლებოდნენ ოჯახის წევრები და ახლობლები, ნათესავები, მეზობლები... მერე კი, მთელმა დუშეთის რაიონმა გაიცნო განუმეორებელი ხმის ტემბრით დაჯილდოებული ბელა კობიაშვილი და სხვათა შორის, პირველივე ნახვისას მოიხიბლნენ, უფრო მეტიც, გაოცებული დარჩნენ საქვეყნოდ აღიარებული მუსიკოსები, მაგალითად, განთქმულმა მომღერალმა ილია ზაქაიძემ მას მომღერალი ბულბული უწოდა, ქეთევან ღოღობერიძემ მგალობელი ჩიტი შეარქვა, ხოლო ცნობილმა თეატრალმა გოგუცა კუპრაშვილმა მსახიობობისაკენ დაულოცა გზა... მაგრამ, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, განგებამ მისი ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა.

... სადღაც "ჩასაფრებული" ბედის წყალობით ბელა კობიაშვილი კასპელების პატარძალი გახდა, დაოჯახდა და სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენს ქალაქში, 1970 წელს კასპის პირველ საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა. აქაურებმა გულით შეიყვარეს პირველი სკოლის სიმღერის მასწავლებელი. ოთხათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა რაიონში აღიარებული სკოლის მოსწავლეთა გუნდს, სადაც ყოველწლიურად 120 მოსწავლეზე ნაკლები არ ირიცხებოდა და ბელა კობიაშვილმა უდიდესი რუდუნებით, სიმღერისა და ხელოვნების დიდი თაყვანისცემის და ამავე დროს, სათანადო პროფესიონალიზმის მეშვეობით მოახერხა წარმატებების მოპოვება... არა მარტო სკოლასა და რაიონში, ქვეყნის მასშტაბით, თქვენ წარმოიდგინეთ, მის ფარგლებს გარეთაც გაიცნეს სახელოვანი ლოტბარი და მისი გუნდი, პირველი სკოლის სიმღერის გუნდის წევრებს ალბათ, დღესაც ცხადად ახსოვთ ტრიუმფალური საგასტროლო მოგზაურობა უნგრეთში, მოსკოვსა და ლენინგრადში. ერთი სიტყვით, ალბათ, არც ერთი კონკურსი თუ მუსიკალური ფესტივალი არ დარჩენილა, სადაც პირველი სკოლის გუნდს რომ არ ესახელებინოს ჩვენი ქალაქი...



ბელა კობიაშვილი წლების განმავლობაში გახლდათ ქალაქის კულტურის სახლის /შპს "ჰარმონია" / დირექტორი, სადაც მისი თაოსნობით ხშირად ეწყობოდა საინტერესო შეხვედრები და კულტურული ღონისძიებები... ამაგდარ პედაგოგს, ცნობილ ლოტბარს უწინდებურად ხიბლავს ახალგაზრდებთან მუშაობა. მართალია, წელს კიდევ ერთი წელი მოიტოვა უკან /77 წელი შეუსრულდა/, მაგრამ მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში, სადაც იგი ამჟამად მუშაობს, დიდი პატივისცემით, სიყვარულით ეპყრობიან და თავადაც ბევრს სწავლობენ მისგან.

**ზაზა მენაბდიშვილი.**

გამოიწერეთ „ახალი განთიადი!“

**დალი კორკომაშვილი და დავით გურასპაშვილი ოჯახით თანაუგრძნობენ მანანა ლელაშვილს მეუღლის და არჩილ პაიჭაშვილს მამის ჯულივერ პაიჭაშვილის გარდაცვალების გამო.**

## ხსოვნა

## ვახტანგ შუბითიძე



წლევანდელ 4 ივლისს დაბადებიდან 64 წელი შეუსრულდებოდა. ვაგლახ, განგების ნებით ასე არ მოხდა — მაისის დასაწყისში გარდაიცვალა.

კასპელი მეცემენტის ოჯახში დაბადებულ-გაზრდილმა, აქაურთათვის პროფილური პროფესია რომ აირჩია — კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმში დაეუფლა მეცემენტეობას — ამაში, ცხადია, გასაკვირი არაფერი იყო. ასევე, როგორც ის, რომ აქაური ცნობილი მოჭიდავეების მიერ გაკვალულ გზას დაადგა — საჭიდაო სკოლაში ლავრენტი კაციაშვილის შეგირდი გახდა.

კასპიდან ახალგაზრდა მეცემენტე-სპეციალისტი ქ. რუსთავში სამსახურებრივი განაწილებით აღმოჩნდა და ახლა იქ, ქართველ მეცემენტეთა მეორე ქალაქშიც, "ორ ფრონტზე" გააგრძელა შრომითი საქმიანობა და სპორტული კარიერა, ორივეგან წარმატებული გამოდგა. წლების მანძილზე იღვაწა ქარხანა "რუსთავცემენტში", მერე — კომპანია "ყაზბეგში". ამის პარალელურად, არაერთი სპორტული გამარჯვება მოიპოვა საქართველოს საჭიდაო არენებზე თუ ქვეყნის გარეთ, გასული საუკუნის 70-იან წლებში.

მერე, ჯანმრთელობამ რომ დაალალატა, თვითონ განზე გადგა და საასპარეზო უმცროს ვაჟიშვილს დაუთმო — გიორგი შუბითიძე ("შუბა") საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილი მოჭიდავე-სამბოელი და ექსტრაკლასის მსაჯია. უფროსი შვილის, თამაზის, ვაჟიშვილი — პაპის სეხნია 16 წლის ვახტანგი პერსპექტიული რაგბისტია, უკვე ქ. რუსთავის გუნდში გამოდის. ამდენად, კასპელ-რუსთაველი შუბითიძეების სპორტულ-ოჯახურ დინასტიას საიმედო პერსპექტივა გააჩნია... აკი ნათქვამია: "ის ურჩევნია მამულსა"...

ახლობლებმა და დიდმა სამეგობრო წრემ 2018 წლის მაისის დასაწყისში უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ იგი — ვახტანგ შუბითიძე — სიცოცხლის დასალიერ წლებში ინვალიდის ეტლში მჯდომი, კიდურებმოკვეთილი, მაგრამ მაინც სულით უტეხი კაცი. 9 ივნისს კი მისი გარდაცვალებიდან 40 დღე გასრულდა.

კასპსა თუ რუსთავში, ყველგან, ვინც კი მასთან ნაცნობობდა, მუდამ პატივისცემით გავიხსენებთ ულალატო ძმისა და მეგობრის სახელს.

**ძმა — გურამ შუბითიძე და კასპელი მეგობრები.**

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. „კოლორ პრესში“

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76